



გამოსცადე სწავლა - საცდელი კურსი იენაში

რას გთავაზობთ?

- მრავალფეროვან დღეებს ჩვენს თანამედროვე ტრადიციულ უნივერსიტეტში: შესანიშნავ სწავლებას თანამედროვე კვლევების კვალდაკვალ, კარგ მხარდაჭერას და ცხოვრების მაღალ ხარისხს უსაფრთხო ადგილას გერმანიის შუაგულში.
- ინფორმაციულ ღონისძიებებს, სასწავლო კურსებზე დასწრებას, შეხვედრას სტუდენტებთან, სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებას, გერმანული ენის კურსებს: აკადემიური ლექსიკა და თურინგიის ისტორია და კულტურა
- ღამისთევას ქალაქის ცენტრში მდებარე ჰოსტელის მრავალსაწოლიან ოთახებში
- დღეში სამჯერად კვებას (საუზმე ჰოსტელში, სადილი და ვახშამი ძირითადად უნივერსიტეტის სასადილოში)
- ექსკურსიებსა და კულტურულ ღონისძიებებზე დასწრებას იენასა და მის შემოგარენში



როგორია პროგრამაში მონაწილეობის პირობები?

- მონაწილე უნდა იყოს დამამთავრებელი ან მეთერთმეტე კლასის მოსწავლე
- ფლობდეს გერმანული ენის საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამის B1 დონის სერთიფიკატს (მაგ. DSD 1)
- იყოს უნივერსიტეტის 200 სასწავლო მიმართულებიდან ერთერთით დაინტერესებული

 uni-jena.de/studienangebot

რას მოიცავს მონაწილის მხრიდან თანამონაწილეობა?

- აქტიურ მონაწილეობას ყველა შეთავაზებულ ღონისძიებაში
- სტუდენტებისთვის საკუთარი ქვეყნის პრეზენტირებას
- იენაში მიღებული გამოცდილების ჯგუფში გაზიარებას
- მოგზაურობის ხარჯებს (ორმხრივ ბილეთს იენამდე)
- იენაში ყოფნის პერიოდისთვის განკუთვნილ ჯიბის ფულს

კონტაქტი

(მხოლოდ გერმანულ ან ინგლისურ ენაზე)

ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი
საერთაშორისო ოფისი
ბრიტა მიობიუსი (BRITTA MÖBIUS)
FÜRSTENGRABEN 1
07743 JENA

ტელეფონი: +49 3641 9-401530

ელ.ფოსტა: schnupperstudium-international@uni-jena.de

გამომცემელი: საერთაშორისო ოფისი | ფოტო: ანე გიუნთერი / FSU | დიზაინი: საბინე მიულერი

რა ხდება პროგრამის დასრულების შემდეგ?

გერმანიის აკადემიური გაცვლითი სერვისის (DAAD) BIDS-პროგრამის ფარგლებში იენის უნივერსიტეტი 2020 და 2021 წლებში საცდელი სასწავლო კურსის ყოფილ მონაწილეებზე გასცემს ორ სამოტივაციო სტიპენდიას, თითოეულს 12 თვის განმავლობაში, თვითურად 400 ევროს ოდენობით.

 daad.de/bids

სტიპენდიების შესახებ სრული ინფორმაცია განაცხადის შეტანის პერიოდში, 1 მაისიდან 15 ივლისის ჩათვლით, შეგიძლიათ იხილოთ საერთაშორისო ოფისის სტიპენდიების ვებგვერდზე:

 uni-jena.de/Stipendien+international

DAAD

დაფინანსებულია DAAD-ის მიერ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახსრებით (AA)